



中国建筑集团有限公司

NATIONAL
ENDOWMENT
FOR
DEMOCRACY



China Watch

საგარეო 10



中国建筑集团有限公司



中国建筑集团有限公司

中国建筑集团有限公司


2022

CSCEC საქართველოში

China State Construction Engineering Corporation Limited

中国建筑集团有限公司

სამოქალაქო იდეა



სარჩევი

<i>China State Construction Engineering Corporation Ltd.....</i>	<i>2</i>
<i>China State Construction Engineering Corporation Limited საქართველოში.....</i>	<i>4</i>
<i>CSCEC ფილიპინებში</i>	<i>6</i>
<i>CSCEC, როგორც Baha Mar-ის ჩინური კონტრაქტორი.....</i>	<i>8</i>
<i>CSCEC-ის მიერ უარყოფილი კორუფციული სქემები პაკისტანში.....</i>	<i>9</i>
<i>ფუდანის უნივერსიტეტი უნგრეთში</i>	<i>11</i>



中國建築

China State Construction Engineering Corporation Ltd.

China State Construction Engineering Corporation Ltd., ასევე ცნობილი როგორც China State Construction or CSCEC, არის ერთ-ერთი უდიდესი ჩინური სახელმწიფო სამშენებლო კომპანია, რომელიც დაარსდა 1982 წელს. მას შემდეგ ის ოპერირებს მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს უძრავ ქონების, მშენებლობის დაფინანსებას, ოპერირებას, ინჟინერიას, პროექტირებასა და კვლევას. ეს კომპანია ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ბევრ სკანდალში იყო გარეული. უფრო ზუსტად, CSCEC და მისი შვილობილი კომპანიები კორუფციისა და თაღლითობის სქემებს ახორციელებდნენ აშშ-ში, ფილიპინებში, პაკისტანში, უნგრეთსა და რამდენიმე სხვა ქვეყანაში, რის შედეგადაც სხვადასხვა სახელმწიფო და საერთაშორისო ინსტიტუტების შავ სიაში მოხვდნენ. მაგალითად, 2020 წლის აგვისტოში, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა იმ ჩინური კომპანიების სია, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ დამყარებული ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელ არმიასთან (PLA). სწორედ ამ კომპანიებს შორის იყო CSCEC. ტრამპის ადმინისტრაციამ ეს უკანასკნელი კიბერ ჯაშუშობაში დაადანაშაულა, ხოლო აშშ-ში რეგისტრირებულ სუბიექტებს აუკრძალა, გამხდარიყვნენ CSCEC-ის აქციონერები. 2013 წლის დასაწყისში CSCEC-ს პრობლემები შეექმნა თვით ჩინეთშიც. მას ბრალი ედებოდა რამდენიმე ცათამბჯენის ასაშენებლად დაბალი ხარისხის ზღვის ქვიშის გამოყენებაში შენჯენში ჩინეთში. ეს მშენებლობები, მათ შორის Ping An-ის ფინანსური ცენტრი, შეჩერდა შენჯენის საბინაო და სამშენებლო ბიუროს მიერ კომპანიის მხრიდან უხარისხო სამშენებლო მასალების გამოყენების გამო. უცხოური მედია იუწყებოდა, რომ ეს სტრუქტურები რამდენიმე წლის შემდეგ სახიფათო გახდებოდა და ხალხის სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნიდა.

<https://english.cscec.com/AboutCSCEC/Companyprofile/>

<https://www.defense.gov/News/Releases/Release/Article/2328894/dod-releases-list-of-additional-companies-in-accordance-with-section-1237-of-fy/>

<https://www.direkt36.hu/en/kinai-hitelbol-keszul-a-magyar-felsooktatas-oriasberuhazasa-a-kormany-mar-oda-is-igerte-egy-kinai-cegnek/>

<https://theindependent.sg/Ita-awards-mrt-tunnel-contract-to-chinese-firm-previously-blacklisted-by-world-bank/>

CSCEC-ის სახელთან დაკავშირებული სკანდალების თაიმლაინი

2004

ფილიპინების რესპუბლიკის საზოგადოებრივი სამუშაოებისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დაბლოკა კომპანია ერთი წლის ვადით, ადგილობრივი წესებისა და რეგულაციების დარღვევის გამო.

2013

CSCEC-ს ბრალი ედებოდა რამდენიმე ცათამბჯენის ასაშენებლად დაბალი ხარისხის ზღვის ქვიშის გამოყენებაში შენეში ჩინეთში.

2017

დავა BML-სა და CSCEC-ს შორის ნიუ-იორკის უზენაეს სასამართლოშიც გაგრძელდა.

2019 (აგვისტო)

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და China State Construction Engineering Corporation Limited-ს შორის გაფორმდა ხელსკრულება პროექტ „E-60 მაგისტრალის უბისა-შორაპანის მონაკვეთის მშენებლობასთან(F3)“ დაკავშირებით.

2020

ტრამპის ადმინისტრაციამ CSCEC კიბერ ჯაშუშობაში დაადანაშაულა, ხოლო აშშ-ში რეგისტრირებულ სუბიექტებს აუკრძალა, გამხდარიყვნენ CSCEC-ის აქციონერები.

2009

მსოფლიო ბანკმა შპს China State Construction Engineering Corporation შავ სიაში შეიყვანა ფილიპინებში შეთქმულების პრაქტიკასა და კორუფციულ სკანდალში მონაწილეობის გამო, რომელიც ეხებოდა ფილიპინების ეროვნული გზების გაუმჯობესებისა და მართვის პროგრამას,

2015

ბაჰამის ადგილობრივმა კომპანიამ Baha Mar Ltd.-მ CSCEC-ს დელავერის სასამართლოში, აშშ-ში, და ლონდონში, დიდ ბრიტანეთში უჩივლა მასიური თაღლითობისა და რამდენიმე სხვა გადაცდომის გამო, როგორცაა პროექტის ვადების მიღმა ყოფნა, შემოსავლის დაკარგვა, უზარმაზარი კომპლექსის მშენებლობაში გამოცდილების ნაკლებობა (რაც განსაკუთრებით აისახა, "მასალების გადაზიდვის მართვასა და მუშების მიერ მოვალებების დაგვიანებით შესრულებაში") და მშენებლობიდან დოკუმენტების მოპარვა.

2019

პაკისტანის კომუნიკაციების მინისტრმა მურად საიდმა განაცხადა, რომ საავტომობილო გზების ეროვნულმა ორგანომ (NHA) დაარღვია შესყიდვის წესები, რადგან ხელი მოაწერა 259 მილიარდი ინდური რუპის (3343746980,00 აშშ დოლარი) ღირებულების მემორანდუმს CSCEC-სთან.

2021

CSCEC სათავეში ჩაუდგა უნგრეთში ფუდანის უნივერსიტეტის კამპუსის მშენებლობას. ჩინეთის განვითარების ბანკი მზად არის დაფაროს ხარჯების 80%. უნგრეთის მთავრობას ჯერ არ მიუღია ოფიციალური გადაწყვეტილება, მაგრამ მათი ფარული შეხვედრებიდან თუ ვიმსჯელებთ, მათ სხვა გზა აღარ აქვთ, გარდა ჩინეთის ხელისუფლების პირობებზე დათანხმებისა.

China State Construction Engineering Corporation Limited საქართველოში

მანამდე, 2021 წლის სექტემბერში, ჩინეთის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანია "ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაცია" - "China Road and Bridge Corporation", სამოქალაქო იდეას China Watch-ის მე-7 ანგარიშის კვლევის ობიექტი გახდა. მან ჩვენი ყურადღება, პირველად, პროექტ „E-60 მაგისტრალის უბისა-შორაპანის მონაკვეთის მშენებლობასთან(F3)“ დაკავშირებით გამოცხადებული ტენდერში გამარჯვებით მიიპყრო. აღნიშნული გზის მონაკვეთი აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი 51.6 კილომეტრამდე სიგრძის მაგისტრალის ნაწილია. როგორც წინა ანგარიშში ვახსენეთ, ზემოხსენებული მაგისტრალის ოთხივე მონაკვეთის მშენებლობას სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ჩინური კომპანიები ახორციელებენ. მათ შორისაა უკვე ნახსენები "ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაცია" - "China Road and Bridge Corporation", ჩვენი ახალი კვლევის ობიექტი China State Construction Engineering Corporation Limited (CSCEC), რომელიც საქართველოში „ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს ფილიალის“ სახელით ოპერირებს.

კომპანია China State Construction Engineering Corporation Limited სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სააგენტოს პორტალზე პირველად 2018 წლის ნოემბერში დარეგისტრირდა მიმწოდებლის სტატუსით. 2019 წლის 11 სექტემბერს კი ოფიციალურად დაარეგისტრირა მისი ფილიალი საქართველოში, რომლის დირექტორი დაფუძნებიდან დღემდე ჩანგ ქინგია.

2018 წლის 8 ნოემბერს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (შემდგომში „გზების დეპარტამენტი“), მსოფლიო ბანკისა (WB) და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) დაფინანსებით¹ ე-60 მაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის (კმ 0.0 - კმ 11.6) სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით გამოაცხადა ტენდერი DEP180000085,² რომელშიც მონაწილეობა ჯამში ცხრა პრეტენდენტმა მიიღო. მათგან საუკეთესო შეთავაზება - 329 882 770.00 ლარი სწორედ China State Construction Engineering Corporation-მა წარადგინა. შესაბამისად, აღნიშნული ტენდერის გამარჯვებულიც გახდა.

სამწუხაროდ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, არ არის დამატებითი ინფორმაცია განთავსებული ზემოხსენებული ტენდერის ფარგლებში არსებულ შერჩევის პროცესთან, ასევე ინფორმაცია კომპანიის მიერ წარდგენილი დოკუმენტების სატენდერო დოკუმენტაციასთან შე-

<https://civicidea.ge/?s=China+Watch>

<https://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1545739194>

<http://www.georoad.ge/?lang=geo&act=project&func=menu&uid=1392986222>

¹ საავტომობილო გზების დეპარტამენტის პროექტები; რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთი/ Projects of the Roads Department of Georgia; Rikoti Pass Section:

<http://www.georoad.ge/?lang=geo&act=project&func=menu&uid=1392986222>

² იხილეთ სახელმწიფო შესყიდვა/ see public procurement DEP180000085 <http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=283346&lang=ge>

<http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=283346&lang=ge>

საბამისობასთან დაკავშირებით. წინამდებარე ინფორმაციის გაცემაზე გზების დეპარტამენტი უარს აცხადებს, იმ მიზეზით, რომ მხოლოდ ტენდერში მონაწილე სუბიექტს შეუძლია, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები შერჩევის პროცესთან დაკავშირებით.³

2019 წლის 21 აგვისტოს, გზების დეპარტამენტმა ხელშეკრულება გააფორმა China State Construction Engineering Corporation Limited-თან. საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნა, რომ „S&P-ის, Moody’s-ისა და Fitch-ის რეიტინგების შეფასებით, CSCEC-ს საუკეთესო შეფასება „A“ რეიტინგი აქვს მიღებული, რაც უმაღლესი საკრედიტო რეიტინგია გლობალურ სამშენებლო ინდუსტრიაში.“⁴ თუმცა სამინისტროს აღნიშნული კომპანიის დამსახურებებისა და რეიტინგების ჩამოთვლისას „დაავიწყდა“, ესენებინა მის სახელთან დაკავშირებული არაერთი სკანდალი და მის წინააღმდეგ გამოცემული სანქციები მსოფლიოს მასშტაბით, რაზეც ჩვენ ამ ანგარიშის შემდგომ თავებში მოგიყვებით.

China State Construction Engineering Corporation Limited-თან გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით სამუშაოების განხორციელების ვადად 3 წელია განსაზღვრული, მაშასადამე გზის მშენებლობა 2022 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

2020 წლის სექტემბრის დასაწყისში, მოქალაქემ Facebook პოსტის მეშვეობით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეატყობინა, რომ ჩინურ კომპანია CECS-ს ბეტონის დამამზადებელი დანადგარი მდინარის პირას ჰქონდა ჩადგმული, რაც მდინარის დაბინძურებას იწვევდა. როგორც შემდგომ ადგილობრივმა მედიამ გამოარკვია,⁵ სამინისტრომ „ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს ფილიალი“ „1 მ3-დან 10 მ3-მდე მოცულობის სამშენებლო ნარჩენით ან სხვა ინერტული ნარჩენით გარემოს დანაგვიანების“ გამო 3000 ლარით დააჯარიმა.⁶ გარდა ამისა, გამოვლინდა, რომ კომპანია განთავსებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რის გამოც იგი დამატებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 53-ე სეკუნდა მუხლის შესაბამისად, 750 ლარით დააჯარიმა.⁷

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები და China State Construction Engineering Corporation Limited-თან დაკავშირებული უარყოფითი საერთაშორისო გამოცდილება პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მიმწოდებლის შერჩევისას არ გამოიჩინა მაქსიმალური გულისხმიერება და კეთილსინდისიერება, რაც თავისთავად ზადებს ეჭვს ტენდერის ფარგლებში დაკავშირებული მხარეებისა და კორუფციული გარიგებების არსებობაზე.

³ იხილეთ სამოქალაქო იდეას მიერ გამოქვეყნებული მე-7 ანგარიში პროექტ „China Watch“-ის ფარგლებში/ See Report N7 by Civic Idea within the project „China Watch“: <https://civicidea.ge/en/3306-2/>

⁴ რიკოტის გზის შემადგენელი ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მშენებლობა იწყება / onstruction of Chumateleti-Khevi section, which is a part of Rikoti road, is about to start: <https://mrdi.gov.ge/ka/press-center/97.html>

<https://mrdi.gov.ge/ka/press-center/>

⁵ მოახდინეს თუ არა რეაგირება მდ. ჩუმათელეთის კალაპოტის მიმდებარედ ტერიტორიის დაბინძურების ფაქტის აღმოჩენის შემდეგ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის პასუხი/ the response of the Department of Environmental Supervision: https://xashurineews.ge/open_post/283

⁶ იხილეთ საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 32(2) მუხლი/see LAW OF GEORGIA ON WASTE MANAGEMENT CODE Article 32(2) <https://matsne.gov.ge/en/document/view/2676416>

⁷ იხილეთ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 53-ე სეკუნდა მუხლი / See ADMINISTRATIVE OFFENCES CODE OF GEORGIA Article 53²

საერთაშორისო რეკონსტრუქცია

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ, რა გართულებები შეიძლება გამოიწვიოს ამ კომპანიამ საქართველოში კრიტიკული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, ჯერ უნდა გადავხედოთ მის საერთაშორისო რეკონსტრუქციას და შევადაროთ მასთან დაკავშირებული სხვადასხვა შემთხვევა.

CSCEC ფილიპინებში

მსოფლიო ბანკმა შპს China State Construction Engineering Corporation შავ სიაში 2009 წელს შეიყვანა ფილიპინებში შეთქმულების პრაქტიკასა და კორუფციულ სკანდალში მონაწილეობის გამო. მსგავსი ქმედება განხორციელდა „China Road and Bridge Corporation“-ის (CRBC) შემთხვევაშიც, ეს არის ჩინური კომპანია, რომლის კვლევაც სამოქალაქო იდეამ უკვე შემოგთავაზათ. შეზღუდვის მიხედვით, CSCEC-ს აკრძალა, მონაწილეობა მიეღო მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. არსებული აკრძალვა ექვსი წლის განმავლობაში გაგრძელდა. აკრძალვამდე, როგორც CRBC-ის შემთხვევაში, CSCEC მონაწილეობდა ფილიპინების ეროვნული გზების გაუმჯობესებისა და მართვის პროგრამაში, რომელსაც მსოფლიო ბანკი ნაწილობრივ აფინანსებდა. ჯამში, მსოფლიო ბანკის დაფინანსებამ 150 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. მსოფლიო ბანკის 2009 წლის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით:

„კარტელის სისტემის მიხედვით, შეთავაზების ფასები კარტელის ხელმძღვანელობის მიერ იყო ნაკარნახევი; არაკოოპერაციული პრეტენდენტები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ პროცესი წინადადებების წარდგენამდე; გამარჯვებულები წინასწარ იყო შეთანხმებული; ხოლო დამარცხებულმა პრეტენდენტებმა, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში მონაწილეობდნენ კარტელის გავლენიანი წევრების უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით, კომპენსაცია მიიღეს თავიანთი მონაწილეობისთვის“.

(“Under the cartel’s system, bid prices were dictated by the cartel leadership; uncooperative bidders were forced out of the process before bids were submitted; winners were prearranged; and losing bidders, which in some cases participated to avoid displeasing influential members of the cartel, were compensated for their participation.”)

როგორც ჩანს, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც CSCEC-მ დაარღვია კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. მანამდე 2004 წელს, ფილიპინების რესპუბლიკის საზოგადოებრივი სამუშაოებისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დაბლოკა კომპანია ერთი წლის ვადით, განმახორციელებელი

<https://civicidea.ge/en/3306-2/>

<https://www.reuters.com/article/oukwd-uk-worldbank-corruption-idAFTRE50EOGX20090115>

http://www.china.org.cn/business/news/2009-01/16/content_17143299.htm

<https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/4354>

https://www.dpwh.gov.ph/dpwh/sites/default/files/issuances/DO_236_S2004.pdf

წესებისა და რეგულაციების 69.1.9 პუნქტის დარღვევის გამო, რომელიც ეხება „აქტებს, რომლებიც მიზნად ისახავს მოშალოს კონკურენტული ტენდერის მიზნები, როგორცაა ტენდერიდან ჩვეული გასვლა, დაგვიანებული წინადადებების წარდგენა ან ცხადად არასათანადო და დაუსაბუთებელი წინადადება“.

(“The acts that tend to defeat the purpose of the competitive bidding, such as habitually withdrawing from bidding, submitting late bids or patently insufficient bid”). შესაბამისად, შეზღუდვა ექვს თვემდე შემცირდა სწორედ მას შემდეგ, რაც ჩინურმა კომპანიამ დეპარტამენტს განსახილველად მიმართა.



წყარო:

<https://www.cnnphilippines.com/news/2018/05/24/Marawi-China-companies-World-Bank.html>

მიუხედავად მისი სადავო ხასიათისა, ჩინურ კომპანიის რეაბილიტირება თავად ფილიპინების მთავრობამ მოახდინა. ადგილობრივი ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ CSCEC-ს მიეცა ახალი შანსი აღედგინა ქალაქი "მარავი", რომელიც მთლიანად განადგურდა ISIS-ის მომხრე ექსტრემისტების წინააღმდეგ ბრძოლების დროს. ამიტომ, 2018 წელს, China State Construction Engineering Corporation Ltd-ს მიენიჭა ლიდერი კომპანიის სტატუსი Bagong Marawi კონსორციუმში, რომელიც შედგებოდა მთავრობის მიერ შერჩეული 5 ჩინური და 4 ფილიპინური კომპანიისგან. მთავრობამ ამ ფორმებს ზემოხსენებული პროექტი ყოველგვარი სატენდერო პროცედურების გარეშე გადასცა. აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიებიდან ბევრს ადანაშაულებდნენ კორუფციაში, თაღლითობასა და შესყიდვების წესების დარღვევაში. მიუხედავად ამისა,

<https://www.cnnphilippines.com/news/2018/05/24/Marawi-China-companies-World-Bank.html>

<https://www.rappler.com/nation/202300-chinese-firms-marawi-consortium-blacklisted-world-bank-arroyo/>

<https://www.rappler.com/nation/199388-companies-bangon-marawi-consortium-china-philippines/>


ხელისუფლებამ თვალი დახუჭა ამ ბრალდებებზე და დანგრეული ქალაქის აღსადგენად ყველაზე სკანდალური ფირმები აირჩია. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს შესაძლებლობა ნამდვილად წარმოადგენს მეორე შანსს სადავო კომპანიებისთვის. ამის მიზეზად შეიძლება ვივარაუდოთ, სათანადო "დიუ დილიჯენსის" ნაკლებობა ფილიპინების სამთავრობო უწყებებში ან მოცემულ გარემოში ჩართული პირადი ინტერესების არსებობა.

CSCEC, როგორც Baha Mar-ის ჩინური კონტრაქტორი

კურორტ Baha Mar-ის საქმე CSCEC-ის რეპუტაციაში გარდამტეხი აღმოჩნდა. China State Construction Engineering Corporation Ltd.-ის შვილობილი კომპანია China Construction America, ასევე სახელად CAA Bahamas, პასუხისმგებელი იყო ბაჰამის კუნძულებზე 3,5 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების მდიდრული კაზინოს საკურორტო კომპლექსის პროექტის მშენებლობაზე. ამ უკანასკნელმა ტენდერი 2008 წლის თებერვალში მოიგო და მთავარი კონტრაქტორი გახდა 2009 წლის მარტში, მას შემდეგ რაც ამერიკული Harrah's Entertainment-მა დატოვა პროექტი ფინანსური კრიზისის გამო. CSCEC დაეხმარა ადგილობრივ კომპანია Baha Mar Ltd.-ს (BML) 2,5 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების სესხის მიღებაში სკანდალური ჩინური Exim Bank-ისგან.

<https://www.chinafile.com/reporting-opinion/caixin-media/chinese-contractor-finds-project-bahamas-no-day-beach>

წყარო:
https://www.sto.com/en/references/references-detailview_24384.html



პირველადი სამუშაოები მხოლოდ 2011 წელს დაიწყო და 2014 წლის დეკემბრისთვის უნდა დასრულდებოდა. არსებული ინიციატივა ითვლებოდა კომპანიის ყველაზე დიდ პროექტად და მოიცავდა ოთხ მდიდრულ სასტუმროს, სულ 2200 ნომრით, კონვენციის ცენტრს, კაზინოს, კერძო სანაპიროსა და გოლფის მოედანს. თუმცა, სამშენებლო კომპანიამ ვერ მოახერხა შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში მოთხოვნების დაკმაყოფილება და სასამართლოსთან მისი პრობლემები 2015 წლის ივნისიდან დაიწყო. უფრო კონკრეტულად, Baha Mar Ltd.-მ უჩივლა ჩინელ კონტრაქტორს დელავერის სასამართლოში, აშშ-ში, მასიური თაღლითობისა და რამდენიმე სხვა გადაცდომის გამო, როგორცაა პროექტის ვადების მიღმა ყოფნა, შემოსავლის დაკარგვა, უზარმაზარი კომპლექსის მშენებლობაში გამოცდილების ნაკლებობა (რაც განსაკუთრებით აისახა, "მასალების გადაზიდვის მართვასა და მუშების მიერ მოვალეობების დაგვიანებით შესრულებაში") და მშენებლობიდან დოკუმენტების მოპარვა.

ასევე, იმავე თვის ბოლოს, BML-მა CSCEC-ს უჩივლა ლონდონის სასამართლოში და მოითხოვდა კომპენსაციას ჩინური ფირმისგან, რომელიც განაგრძობდა სხვადასხვა კონტრაგუმენტის მტკიცებას და უარს ამბობდა ზარალის ანაზღაურებაზე. საბოლოოდ, პროექტი Chow Tai Fook Enterprise-ს გადაეცა, რომელიც დაფუძნებულია ჰონგ კონგში და რომელმაც საბოლოოდ დაასრულა ის 2016 წლის აპრილში. მიუხედავად ამისა, დავა BML-სა და CSCEC-ს შორის ნიუ-იორკის უზენაეს სასამართლოშიც გაგრძელდა 2017 წელს. ძველ ბრალდებებთან ერთად, რომლებიც პერსონალის ნაკლებობასა და გამოუცდელი მუშაკების დასაქმებას ეხებოდა, BML-ის შეტანილი საჩივარი ამტკიცებდა, რომ CSCEC-მა ასობით მილიონი დოლარი თაღლითური გადასახადების მეშვეობით გამოიტანა. CSCEC-ის წარმომადგენლებმა კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადეს და ცნობილი მედიასაშუალებების ზარებს აარიდეს თავი. საქმე ჯერ კიდევ მიმდინარეობს ნიუ-იორკის სასამართლოში, BML-ის უმნიშვნელო გამარჯვებით.

<https://www.caixinglobal.com/2017-12-27/chinese-contractor-sued-for-massive-fraud-over-bahamas-resort-101190370.html>

<https://www.nytimes.com/2015/07/22/business/a-complex-bankruptcy-case-with-baha-mar-and-a-chinese-contractor-lands-in-delaware.html>

<https://www.chinafile.com/reporting-opinion/caixin-media/chinese-contractor-finds-project-bahamas-no-day-beach>

<https://www.wsj.com/articles/baha-mar-says-it-is-still-being-blocked-from-accessing-documents-1436553518>

<https://www.spglobal.com/marketintelligence/en/news-insights/trending/uhzfvszq0jmvxfrie30ea2>

<https://fhnylaw.com/first-department-unanimously-affirms-denial-of-motion-to-compel-arbitration-and-motion-to-dismiss-fraud-claims/>

<https://www.ft.com/content/5a70f510-eae2-11e7-bd17-521324c81e23>

<https://www.ft.com/content/5a70f510-eae2-11e7-bd17-521324c81e23>

<https://ewnews.com/sarkis-wins>

CSCEC-ის მიერ უარყოფილი კორუფციული სქემები პაკისტანში

2016 წელს, China State Construction Engineering Corporation-ს, ჩინეთი-პაკისტანის ეკონომიკური დერეფნის (CPEC) პროექტის ფარგლებში, 2,89 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ყარაჩი-პეშავარის (Karachi-Peshawar) დამაკავშირებელი ავტომანქანების სასაშენებლოდ ახალი კონტრაქტი მიენიჭა. გზის მშენებლობის პროექტის მიზანი იყო ადგილობრივი ტრანსპორტის გაუმჯობეს-

<https://www.globalconstructionreview.com/chinas-cscec-build-29bn-motorway-pa7kis7tan-pa7rt/>

<https://constructiondigital.com/epc/chinas-cscec-completes-392km-motorway-in-pakistan>

ემა პაკისტანის ყველაზე დასახლებულ რეგიონებში. CSCEC-მა სამუშაოების დასრულება 36 თვეში მოახერხა. წარმატებით დასრულების მიუხედავად, პროექტს ხარვეზების გარეშე არ ჩაუვლია.


<https://tribune.com.pk/story/1657399/uneasrthing-scandals-bumpy-ride-cpec-road-people-cry-transparency>

<https://www.dawn.com/news/1464816>

პაკისტანის სატენდერო სისტემა ცნობილია კორუფციის მრავალი მაგალითით. ამ გარემოებების მსხვერპლია CPEC-იც, რადგან არ არის უზრუნველყოფილი სამართლიანი კონკურენცია სატენდერო პროცედურებში მისი მცირე სამშენებლო პროექტების ფარგლებში. როგორც წესი, ადგილობრივი სამმართველო უწყებები მხარს უჭერენ საექვო კომპანიებთან ბუნდოვან გარიგებებს და CSCEC-იც არ წარმოადგენს გამონაკლისს. პაკისტანის ხელისუფლებამ კომპანია გაათავისუფლა ნებისმიერი სახის იმპორტზე საშემოსავლო გადასახადისგან. უფრო მეტიც, კომუნიკაციების მინისტრმა მურად საიდმა განაცხადა, რომ საავტომობილო გზების ეროვნულმა ორგანომ (NHA) დაარღვია შესყიდვის წესები, რადგან ხელი მოაწერა 259 მილიარდი ინდური რუპიის (3343746980,00 აშშ დოლარი) ღირებულების მემორანდუმს აღნიშნულ ჩინურ კომპანიასთან, რაც მას ყველაზე იაფ პრეტენდენტად აქცევდა. მოგვიანებით, პროექტის ღირებულება გაიზარდა 292 მილიარდ ინდურ რუპიამდე (3769784240,00 აშშ დოლარი), რამაც გამოიწვია უზარმაზარი ფინანსური ზარალი. მან ძმები შარიფები, (ერთი განვითარების ყოფილ მინისტრად, ხოლო მეორე პაკისტანში CSCEC-ის დირექტორად მსახურობდა), ამ თაღლითური საქმიანობის წარმართვაში დაადანაშაულა.

წყარო:

<https://constructiondigital.com/epc/chinas-cscec-completes-392km-motorway-in-pakistan>



მინისტრის განცხადებები ჩინურმა კომპანიამ გააპროტესტა და აღნიშნა, რომ მემორანდუმი 2013 წელს გაფორმდა, ხოლო 2014 წელს მას ვადა გაუვიდა, CPEC-ის პროექტის სატენდერო პროცედურის დაწყებამდე ერთი წლით ადრე. უფრო მეტიც, CSCEC-მა განაცხადა, რომ პაკისტანის მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად ტენდერის ფასის შემცირების შემდეგ მისი შეთავაზება ყველაზე იაფი აღმოჩნდა. მთლიანობაში, კორუფციის ეს სქემა ჯერ არ არის საბოლოოდ გამიფრული და გამოძიებული.

<https://www.globalconstructionreview.com/china-state-construction-rejects-pakistan-motorway/>

ფუდანის უნივერსიტეტი უნგრეთში

მომდევნო რამდენიმე წელიწადში, China State Construction Engineering Corporation-ისთვის მინიჭებული ახალი უნივერსიტეტის მშენებლობის პროექტის წყალობით, უნგრეთი შესაძლოა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის "ვალეის მახის" დიპლომატიის კიდევ ერთი მსხვერპლი გახდეს. უნგრეთის მთავრობა ცდილობს შეინარჩუნოს მჭიდრო კავშირები ჩინეთთან სხვადასხვა, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ აკადემიურ დონეზე. შედეგად, მან ცნობილი ჩინური ფუდანის უნივერსიტეტი დედაქალაქ ბუდაპეშტში ახალი ადგილობრივი კამპუსის ასაშენებლად მიიწვია. ამ უკანასკნელის მშენებლობა თავდაპირველად უნგრეთის ცენტრალური ბანკის ფინანსური დახმარებით იგეგმებოდა. თუმცა, უნგრეთის საგამოძიებო ჟურნალისტიკის ცენტრის Direkt36-ის მიერ გამოქონილი დოკუმენტების მიხედვით, უნივერსიტეტის სამშენებლო სამუშაოები მთლიანად ჩინეთის მთავრობის კონტროლქვეშ მოექცა და მშენებლობა შემდგომში უნდა განხორციელდეს როგორც ჩინური პროექტი, რაც იმას ნიშნავს, რომ კორუმპირებული CSCEC მოცემულ პროექტს სათავეში ჩაუდგა. ხოლო უნგრულ მხარეს აღარ აქვს უკან დახევის უფლება. უფრო მეტიც, პროექტი ამ კომპანიას შესაბამისი საჯარო სატენდერო პროცედურების გარეშე და ევროკავშირის რეგულაციების დარღვევით გადაეცა. ამასობაში ჩინეთის განვითარების ბანკი მზად არის დაფაროს ხარჯების 80%. უნგრეთის მთავრობას ჯერ არ მიუღია ოფიციალური გადაწყვეტილება, მაგრამ მათი ფარული შეხვედრებიდან თუ ვიმსჯელებთ, მათ სხვა გზა აღარ აქვთ, გარდა ჩინეთის ხელისუფლების პირობებზე დათანხმებისა.

<https://dailynewshungary.com/fudan-universitys-budapest-campus-to-be-constructed-by-chinese-company-with-chinese-loan/>

<https://chinaobservers.eu/the-fight-over-fudan-a-chinese-university-in-budapest-sparks-reckoning-for-sino-hungarian-relations/>

პროექტის ჯამური ღირებულება ამჟამად 1 მილიარდ ევროს შეადგენს, როცა თავდაპირველად უნგრეთის მთავრობის გათვლებით ის 1,48 მილიარდ ევროს უტოლდებოდა.



<https://hungarianspectrum.org/tag/china-state-construction-engineering-corporation-ltd/?fbclid=IwAR1yqaVE4d188L5eVeitwrieTmXmVc2HgEyqk1yLplfG18H9THJDb4DATf4>

<https://thepienews.com/analysis/the-battle-over-hungarys-e1-5-billion-chinese-university-campus/>

უნგრეთს ფინანსურად თავიდანვე არ შეეძლო, გამკლავებოდა ამ ძვირადღირებულ წამოწყებას. სწორედ ამიტომ უნგრეთის მთავრობამ გადაწყვიტა ჩინეთისგან 1,5 მილიარდი ევროს ოდენობის სესხი აეღო, რომლის დაფარვასაც ის 10-15 წლის განმავლობაში შეძლებს. ამ გარემოებამ ბუდაპეშტში დიდი პროტესტი გამოიწვია. ათასობით ადამიანი გამოვიდა დედაქალაქის ქუჩებში, რადგან ისინი შეშფოთებულნი იყვნენ ამ მშენებლობასთან დაკავშირებული ეროვნული უსაფრთხოებისა და კორუფციული რისკებით. მეტიც, მათ აწუხებთ ის უზარმაზარი გადასახადები, რომელთა გადახდა ფუდანის უნივერსიტეტის ბუდაპეშტის ფილიალის მშენებლობისთვის გამოყოფილი ჩინური სესხის დასაფარად მოუწევთ.

ბიბლიოგრაფია

- CSCEC Official Website: <https://english.cscec.com/AboutCSCEC/Companyprofile/>
- DOD Releases List of Additional Companies, in accordance with Section 1237 of FY99 NDA; 2020; Source: <https://www.defense.gov/News/Releases/Release/Article/2328894/dod-releases-list-of-additional-companies-in-accordance-with-section-1237-of-fy/>
- Huge Chinese loan to cover the construction of Fudan University in Budapest; 2021; Source: <https://www.direkt36.hu/en/kinai-hitelbol-keszul-a-magyar-felsooktatas-oriasberuhazasa-a-kormany-mar-oda-is-igerte-egy-kinai-cegnek/>
- LTA awards MRT tunnel contract to Chinese firm previously blacklisted by World Bank; 2017; Source: <https://theindependent.sg/lta-awards-mrt-tunnel-contract-to-chinese-firm-previously-blacklisted-by-world-bank/>
- China Road and Bridge Corporation in Georgia Report N7; 2021; <https://civicidea.ge/en/3306-2/>
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის პროექტები; რიკოთის საულელტეხილო მონაკვეთი/ Projects of the Roads Department of Georgia; Rikoti Pass Section: <http://www.georoad.ge/?lang=geo&act=project&func=menu&uid=1392986222>
- იხილეთ სახელმწიფო შესყიდვა/ see public procurement DEP180000085 <http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=283346&lang=ge>
- იხილეთ სამოქალაქო იდეას მიერ გამოქვეყნებული მე-7 ანგარიში პროექტ „China Watch“-ის ფარგლებში/ See Report N7 by Civic Idea within the project „China Watch“: <https://civicidea.ge/en/3306-2/>
- რიკოთის გზის შემადგენელი ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მშენებლობა იწყება / onstruction of Chumateleti-Khevi section, which is a part of Rikoti road, is about to start: <https://mradi.gov.ge/ka/press-center/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20&%20%E1%83%A6%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A9%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%97.html>
- მოახდინეს თუ არა რეაგირება მდ. ჩუმათელეთის კალაპოტის მიმდებარედ ტერიტორიის დაბინძურების ფაქტის აღმოჩენის შემდეგ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის პასუხი/ the response of the Department of Environmental Supervision: https://xashurineews.ge/open_post/283
- იხილეთ საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 32(2) მუხლი/see LAW OF GEORGIA ON WASTE MANAGEMENT CODE Article 32(2) <https://matsne.gov.ge/en/document/view/2676416>
- იხილეთ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 53-ე სექუნდა მუხლი / See ADMINISTRATIVE OFFENCES CODE OF GEORGIA Article 53
- World Bank bars seven firms including four from China; 2009; Source: <https://www.reuters.com/article/oukwd-uk-worldbank-corruption-idAFTRE50E0GX20090115>
- CSCEC: We regret the World Bank's sanction; 2009; Source: http://www.china.org.cn/business/news/2009-01/16/content_17143299.htm
- The World Bank Annual Report 2009 : Year in Review, Volume 1: <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/4354>
- SUSPENSION/BLACKLISTING OF CHINA STATE CONSTRUCTION ENGINEERING CORPORATION; 2004; Source: https://www.dpwh.gov.ph/dpwh/sites/default/files/issuances/DO_236_S2004.pdf
- Rebuilding Marawi: Gov't giving Chinese firms once blacklisted by World Bank a chance; 2018; Source: <https://www.cnnphilippines.com/news/2018/05/24/Marawi-China-companies-World-Bank.html>
- China firms in Marawi rehab once blacklisted by World Bank; 2018; Source: <https://www.rappler.com/nation/202300-chinese-firms-marawi-consortium-blacklisted-world-bank-arroyo/>

- LIST: 9 companies behind China-led consortium picked for Marawi rehab; 2018; Source: <https://www.rappler.com/nation/199388-companies-bangon-marawi-consortium-china-philippines/>
- Chinese Contractor Finds Project in Bahamas Is No Day at Beach; 2015; Source: <https://www.chinafile.com/reporting-opinion/caixin-media/chinese-contractor-finds-project-bahamas-no-day-beach>
- Chinese Contractor Sued for ‘Massive Fraud’ Over Bahamas Resort; 2017; Source: <https://www.caixinglobal.com/2017-12-27/chinese-contractor-sued-for-massive-fraud-over-bahamas-resort-101190370.html>
- A Complex Bankruptcy Case, With Baha Mar and a Chinese Contractor, Lands in Delaware; 2015; Source: <https://www.nytimes.com/2015/07/22/business/a-complex-bankruptcy-case-with-baha-mar-and-a-chinese-contractor-lands-in-delaware.html>
- Chinese Contractor Finds Project in Bahamas Is No Day at Beach; 2015; Source: <https://www.chinafile.com/reporting-opinion/caixin-media/chinese-contractor-finds-project-bahamas-no-day-beach>
- Baha Mar Says It Is Still Being Blocked from Accessing Documents; 2015; Source: <https://www.wsj.com/articles/baha-mar-says-it-is-still-being-blocked-from-accessing-documents-1436553518>
- China State Construction Engineering subsidiary sued by Bahamas resort owner; 2017; https://www.spglobal.com/marketintelligence/en/news-insights/trending/_uhzfvzsq0jmvxfrije30ea2
- First Department Unanimously Affirms Denial Of Motion To Compel Arbitration And Motion To Dismiss Fraud Claims; 2019; <https://fhnylaw.com/first-department-unanimously-affirms-denial-of-motion-to-compel-arbitration-and-motion-to-dismiss-fraud-claims/>
- Chinese contractor sued over \$3.5bn Bahamas resort; Source: <https://www.ft.com/content/5a70f510-eae2-11e7-bd17-521324c81e23>
- Sarkis wins: US Supreme Court dismisses CCA counterclaim; 2020; Source: <https://ewnews.com/sarkis-wins>
- China’s CSCEC to build \$2.9bn motorway in Pakistan as part of planned ‘corridor’; 2016; Source: <https://www.globalconstructionreview.com/chinas-cscec-build-29bn-motorway-pakistan/>
- China's CSCEC completes 392km motorway in Pakistan; 2020; Source: <https://constructiondigital.com/epc/chinas-cscec-completes-392km-motorway-in-pakistan>
- Bumpy ride on CPEC road as people cry for transparency; 2018; Source: <https://tribune.com.pk/story/1657399/unearthing-scandals-bumpy-ride-cpec-road-people-cry-transparency>
- Chinese firm rejects corruption charge in CPEC project; 2019; Source: <https://www.dawn.com/news/1464816>
- China State Construction rejects Pakistan motorway allegations; 2019; Source: <https://www.globalconstructionreview.com/china-state-construction-rejects-pakistan-motorway/>
- Fudan University’s Budapest campus to be constructed by a Chinese company involved in spying scandals?; 2021; Source: <https://dailynewshungary.com/fudan-universitys-budapest-campus-to-be-constructed-by-chinese-company-with-chinese-loan/>
- The Fight Over Fudan: A Chinese University in Budapest Sparks Reckoning for Sino-Hungarian Relations; 2021; Source: <https://chinaobservers.eu/the-fight-over-fudan-a-chinese-university-in-budapest-sparks-reckoning-for-sino-hungarian-relations/>
- VIKTOR ORBÁN’S LATEST BUSINESS VENTURE: FUDAN UNIVERSITY IN BUDAPEST; 2021; Source: <https://hungarianspectrum.org/tag/china-state-construction-engineering-corporation-ltd/?fbclid=IwAR1yqaVE4d188L5eVejtwrieTmXmVc2HgEyqk1yLplfG18H9THJD4DATf4>
- The battle over Hungary’s €1.5 billion Chinese university campus; 2021; Source: <https://thepienews.com/analysis/the-battle-over-hungarys-e1-5-billion-chinese-university-campus/>



სამოქალაქო იდეას შესახებ

„სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევნისთვის – სამოქალაქო იდეა“ საქართველოში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც გლობალურ საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის მანდატი ემსახურება დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანის რეალობად ქცევას, ყოველ მოქალაქემდე მიტანას და ინსტიტუციონალიზაციას.

დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანი, ეს არის თავისუფალი, სამართლიანი, თანასწორობაზე დაფუძნებული სახელმწიფო, სადაც კანონის უზენაესობით შეიარაღებული მოქალაქეები უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ თავს.

„სამოქალაქო იდეა“ აქტიურად აკვირდება ჩინეთის მზარდ გავლენებს საქართველოში.

სამოქალაქო იდეა, ბოლო სამი წელია იკვლევს დააკვირდება ჩინეთის საქმიანობას საქართველოში, თუმცა კვლევა ასევე ეფუძნება სხვა ქვეყნებში მსგავსი პრაქტიკის შედარებითი ანალიზს. დღეს ჩინეთის საქმიანობა საქართველოში პირდაპირი, ხილული და მყისიერი საფრთხის შემცველი არ არის, თუმცა რესპექტაბელური და ავტორიტეტული ორგანიზაციების, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურების, ევროკავშირის მრავლობითი ორგანიზაციების კვლევების, რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების იგნორირება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთი ნათელი მაგალითია მყარი საგარეო ორიენტირების მოშლისა და ქვეყნის განვითარების და გრძელვადიანი წარმატების შესახებ ბუნდოვანი ხედვის თაობაზე.



ჩვენს შესახებ

ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, განცხადებები და კომენტარები, ეკუთვნის მხოლოდ მათ და არ ასახავს ფონდების პოზიციას.

შესაბამისად, არც ერთი დამხმარე ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ინფორმაციული მასალის შინაარსზე.

ანგარიშზე
პასუხისმგებლები არიან
მარიამ უსენაშვილი,
ანი კინწურაშვილი

<https://civicidea.ge/en/about-us/>

